ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 49262442**

თარიღი:**01/09/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტის მურმან შალამბერიძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ

აღვნიშნავ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მოწვეულმა სპეციალისტმა მურმან შალამბერიძემ 2026 წლის 1 სექტემბრის N49-49262444 პირადი განცხადების საფუძველზე დაუყოვნებლივ მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 109-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მოწვეულ სპეციალისტს მურმან შალამბერიძეს, პირადი განცხადების საფუძველზე, 2026 წლის 1 სექტემბრიდან შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება და გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM